სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №185

ბათუმი **23 დეკემბერი 2019 წ.**

ერთის მხრივ ა(ა)იპ ქ. „ბათუმის კულტურის ცენტრი" (შემდგომში შემსყიდველი) დირექტორის ჯონი საბაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „სუპერი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), დირექტორის ივანე ხაზარაძის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუქტის $ს^1$ ქვეპუნქტის თანახმად გამარტივებული შესყიდვით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სომხური დიასპორის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დიასპორის აქტივისტებისთვის საჩუქრების შესყიდვა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

cpv- 39298900 - სხვადასხვა სახის დეკორაციული ნივთები - 479,65 ლარი, **39513100** - მაგიდის გადასაფარებლები - 29 ლარი, 31440000- ელემენტები - 1,40 ლარი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 510 (ხუთასათი) ლარს და 05 თეთრს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიღების და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 3 დღეში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონელი ან მისი ნაწილი მიღებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

4.3 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან მოწოდებულ საქონელზე.

4.4 საქონელი ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) საქონლის მოწოდების დარსულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ბათუმის კულტურის ცენტრის დიასპორებთან ურთიერთობების მენეჯერი მ. მიქელაძე.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული სააქონლის ხარისხის კონტროლს.

6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაშიმეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. საქონლის მიწოდების ვადა

საქონლის მიწოდების ვადაა 2019 წლის 28 დეკემბრამდე პერიოდი.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 30 იანვრამდე.

,,შემსყიდველი“	,,მიმწოდებელი“
ა(ა)იპ ,,ბათუმის კულტურის ცენტრი“	**შპს ,,სუპერი“**
ტელ: 29 08 25	სს ,,ტერა ბანკი“
საბანკო რეკვიზიტები:	ბანკის კოდი TEBAGE22
სახელმწიფო ხაზინა:	ანგ.GE79KS0000000360203851
ანგ.ნ:7 4070 3459	საიდენტიფიკაციო კოდი 205050905
ს/კ 245612109	მის:ქ.ბათუმი კოსტავას ქ.#23
დირექტორი **ჯ. საბაშვილი**	**დირექტორი** **ი. ხაზარაძე**
---	_____

დანართი

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ფასი	სრ. ფასი	CPV
1	საახალწლო მჯდომარე გოგო/ბიჭი რბილი ფეხებით 13 * 8 * 41სმ	3	25.4	76,2	39298900
2	საახალწლო შანდალი ირგვლის წიწვებით და გირჩებით 3ფერში	4	8.5	34	39298900
3	ნაძვისხე მწვანე პატარა მეშოკის ძირით	1	11.85	11.85	39298900
4	საახალწლო სანთელი მინაში გელით 3ფერში	5	9.4	47	39298900
5	საახალწლო სუფრა,წითელი,მწვანე ფოთლებით 150x220სმ	1	29	29	3951300
6	პლუშის საახალწლო სანტა ასორტში 9X20X21	3	19.5	58.5	39298900
7	საახალწლო შანდალი 2სანთლის,გირჩებით+წითელი კენკრით,დათოვლილი 30x14სმ	1	36.2	36.2	39298900
8	საახალწლო შანდალი 2სანთლის,გირჩებით+წითელი კენკრით 30x14სმ	2	36.2	72.4	39298900
9	1*6 პლასტმ ბურთი ბზინავი ღია იასამნისფერი8სმ	1	6.2	6.2	39298900
10	პრომო 1*6 პლასტმ ბურთი ლურჯი 7სმ	1	4.9	4.9	39298900
11	საახალწლო გვირგვინი ყუთით კენკრა/ბანტი/გირჩი	1	38.7	38.7	39298900
12	საახალწლო მწვანე გვირგვინი თეთრად დათოვლილი წიწვებით და გირჩებით 20სმ	1	29.9	29.9	39298900
13	საახალწლო სასაჩუქრე ნამცხვრის ასაღები გოგონა სანთელით ხელში	1	14.75	14.75	39298900
14	საახალწლო ნამცხვრის ასაღები სასაჩუქრე ყუთით	1	14.75	14.75	39298900
15	საახალწლო სასაჩუქრე თეფში თოვლის ბაბუა საჩუქრებით 1*2	1	17.15	17.15	39298900
16	საახალწლო სასაჩუქრე თეფში გოგონა სანთელით ხელში 1*2	1	17.15	17.15	39298900
17	ელემენტი AAA-1ც	2	0.7	1.4	31400000
				510,05	